



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საქართველოს მთავარი პროკურორი



KA011308019110515

ქ.თბილისი

25 / ნოემბერი / 2015 წ.

ბრძანება № 160-მ

საქართველოს პროკურატურის ორგანოებში სტაჟიორთა
კონკურსის ეტაპების რაოდენობის და ფორმის განსაზღვრის
შესახებ

„პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, „საქართველოს პროკურატურის ორგანოებში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2014 წლის 15 აგვისტოს №43 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს პროკურატურის ორგანოებში სტაჟირების გავლის წესის“ მე-7 მუხლის პირველი პუნქტისა და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საქართველოს პროკურატურის ორგანოებში სტაჟიორთა კონკურსი ჩატარდეს სამ ეტაპად: პირველი ეტაპი - ტესტირება სპეციალობაში (წერილობითი ფორმა), მეორე ეტაპი - ტესტირება ზოგად უნარებში (წერილობითი ფორმა) და მესამე ეტაპი - გასაუბრება (ზეპირი ფორმა);
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს მთავარი პროკურორის 2015 წლის 07 სექტემბრის №129-მ ბრძანება „საქართველოს პროკურატურის ორგანოებში სტაჟიორთა კონკურსის ეტაპების რაოდენობის და ფორმის განსაზღვრის შესახებ“;
3. ეს ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საქართველოს მთავარი პროკურორი

გიორგი ბადაშვილი